



სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს მიერ
2019 წლის 27 სექტემბერი ოქმი N9

ცვლილება

აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი N12 „13“ დეკემბერი 2019 წელი
ოქმი № 2 "22" თებერვალი 2021 წელი



სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი

თავი 1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება

1. სამაგისტრო ნაშრომი

- 1.1. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.
- 1.2. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, მაგისტრანტმა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი; წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებული შედეგები კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
- 1.3. სამაგისტრო ნაშრომისათვის მისანიჭებელ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო მისი მოცულობაა არანაკლებ 50 გვერდი და არაუმეტეს 70 გვერდისა.
- 1.4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დასტურდება მისი წარდგენითა და საჯარო დაცვით კომისიის ღია სხდომაზე.

2. სამაგისტრო ნაშრომის არჩევა

სამაგისტრო ნაშრომის არჩევის წინაპირობაა პრაქტის ანგარიშის დაცვა.

3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და თემა

- 3.1. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და თემას მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მეოთხე სემესტრის დასაწყისში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკების ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალიდან.
- 3.2. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისთვის აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებებს.
- 3.3. მაგისტრანტს უფლება აქვს მეოთხე სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს არჩეული თემის დასახელების კორექტირება ან თემატიკის ჩამონათვალში ახალი დასახელების თემის დამატება. სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს რექტორი.
- 3.4. სტუდენტი, რომელიც სამაგისტრო კომპონენტზე რეგისტრაციის პერიოდში არ აირჩევს სამაგისტრო ნაშრომს, კარგავს მოცემულ სემესტრში აღნიშნული კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.
- 3.5. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გთუნი-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. სამაგისტრო

ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს თანახელმძღვანელი.

3.6. ხელმძღვანელის მოვალეობაა, დაგეგმოს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესი, მისცეს მას მიმართულება და რჩევები საკვლევო საკითხის, კვლევის მეთოდოლოგიის, ბიბლიოგრაფიის, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე; პერიოდულად აკონტროლოს კვლევაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას შენიშვნები და რეკომენდაციები ჩაბარებულ ანგარიშებთან დაკავშირებით; სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა.

4. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

4.1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- 1) სატიტულო გვერდი (თავფურცელი);
- 2) შინაარსი (სარჩევი);
- 3) ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 4) შესავალი;
- 5) ძირითადი ნაწილი;
- 6) კვლევის შედეგები;
- 7) დასკვნა;
- 8) ბიბლიოგრაფია (გამოყენებული ლიტერატურა).

4.2. სამაგისტრო ნაშრომის აარასავალდებულო შემადგენელი ნაწილებია:

- ცხრილები, დანართ(ებ)ი, ლექსიკონი;
- პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებელი დანართი;
- მიძღვნა;
- მაძლობა ნაშრომის შესრულების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

4.3. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებამდე სტუდენტი დეტალურად უნდა გაეცნოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს: „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“ და „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“.

5. სატიტულო გვერდი (თავფურცელი)

5.1. სამაგისტრო ნაშრომი როგორც ნებისმიერი ტიპის აკადემიური ნაშრომი, იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: უნივერსიტეტის დასახელება, ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (სამაგისტრო ნაშრომი), ფაკულტეტის ან პროგრამის დასახელება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი გვერდი ითვლება პირველ გვერდად და არ ინომრება. მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის (Sylfaen) პარამეტრებით:

- 1) უნივერსიტეტის დასახელება - 14, გამუქებული;
- 2) ფაკულტეტი, პროგრამა - 12, გამუქების გარეშე;
- 3) ნაშრომის სათაური - 14, გამუქებული;
- 4) ავტორის სახელი და გვარი - 12, გამუქებული;

- 5) ნაშრომის ტიპი - 12, გამუქების გარეშე;
- 6) ხელმძღვანელის მონაცემები - 12, გამუქების გარეშე;
- 7) ქალაქი და წელი - 12, გამუქებული.

6. შინაარსი (სარჩევი):

6.1. შინაარსი (სარჩევი) ასახავს სამაგისტრო ნაშრომის ყველა აუცილებელი შემადგენლის (ანოტაცია, შესავალი, ყველა თავი და ქვეთავი, ბიბლიოგრაფია, დანართები) ზუსტ დასახელებას და გვერდების ნომრებს. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. შრიფტის ზომა - 11. გვერდის ნომერი უნდა განთავსდეს მარჯვენა ველთან.

6.2. თავები და ქვეთავების გამოყენებისას, თავები უნდა შედგებოდეს მინიმუმ ორი ერთეულისგან. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს.

7. ანოტაცია:

ანოტაციაში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, ანოტაცია არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ ენაზე (1 გვერდი) და ინგლისურ ენაზე (1 გვერდი). ორივე ენაზე შესრულებული ანოტაციის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს.

8. შესავალი:

8.1. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილის ფუნქციაა, წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს თემის შესახებ. შესავალი შეადგენს ნაშრომის არაუმეტეს 15%-ს და ის არ ემსახურება ვრცელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. აქ მნიშვნელოვანია, კონკრეტული საკითხის დასმა და პასუხამდე მიმავალი გზის ჩვენება.

8.2. შესავალი აიგება შემდეგნაირად:

- 1) საკვლევი თემის/პრობლემის აღწერა;
- 2) კვლევის აქტუალობისა და მნიშვნელობის დასაბუთება;
- 3) კვლევის მიზნების და ამოცანების აღწერა.
- 4) შესავალში შესაძლებელია აღიწეროს, თუ როგორ წარიმართება კვლევა და რა მეთოდებით დამუშავდება საკითხი. **კვლევის აღწერა (მეთოდოლოგია)** - გულისხმობს კვლევის პროცესში გამოყენებულ მეთოდების დეტალურ აღწერას. ამასთან, საჭიროა არა ზოგადად კვლევის მეთოდების დახასიათება, არამედ შერჩეული კვლევის მეთოდების განმარტება, რელევანტურობის დასაბუთება, პროცედურის დეტალიზაცია. უნდა აიხსნას რამდენად სანდოა გამოყენებული მეთოდები რამდენად პასუხობენ ისინი დასმულ მიზნებს და ამოცანებს.
- 5) შესავლის ბოლო სამი-ოთხი სტრიქონი ეთმობა ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერას, რომლის ჩამოყალიბება დაახლოებით ამგვარადაა შესაძლებელი: „ნაშრომის პირველი თავი დაეთმობა პრობლემის/საკითხის A ასპექტის კვლევას, მეორე თავში განიხილება B“ და ა.შ.

9. ნაშრომის ძირითადი ნაწილი:

9.1. ძირითადი ნაწილი აკადემიური ნაშრომის ბირთვია და შესაბამისად, ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეული. მისი მთავარი დანიშნულებაა, შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე.

9.2. ძირითადი ტექსტის ფორმა და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საკვლევ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და საკვლევ კითხვაზე და ამრიგად, მისი აგების ერთი უნივერსალური წესი არ არსებობს, თუმცა, ზოგადი მოთხოვნების ჩამოყალიბება შესაძლებელია, სახელდობრ:

- 1) ძირითადი ნაწილი სტრუქტურირებულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით;
- 2) სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი არის კვლევის მსვლელობის აღწერა: რა იქნა წაკითხული, გაანალიზებული, რისი ინტერპრეტაცია მოხდა, რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ იქნა ისინი შეფასებული. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია, აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- წყაროების მოძიება;
- არგუმენტირება;
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
- წყაროების გამოყენება და დამოწმება .

- 3) ის შეიძლება მოიცავდეს: თემის ისტორიული წანამძღვრების აღწერას და მთავარი ცნებების განმარტებას, ლიტერატურის მიმოხილვას*, მეთოდოლოგიას (თუ შესავალში არ იქნა განხილული), ტექსტების ინტერპრეტაციას, მასზე დაყრდნობით საკვლევ პრობლემის დეტალურ ანალიზს, თეორიათა შედარებას, ემპირიული კვლევების შეფასებას, ემპირიული კვლევის განხორციელების/ ექსპერიმენტის აღწერას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და ა.შ.

**ლიტერატურის მიმოხილვა: გულისხმობს საკვლევ თემასთან დაკავშირებული ნაშრომების (შესაძლებელია, აგრეთვე, ნორმატიული დოკუმენტების) ან/და არსებული პრაქტიკის მიმოხილვას. მნიშვნელოვანია, რომ ამ ფორმატით (მიუხედავად მისი აღწერითი ხასიათისა) გამოიკვეთოს საკვლევ თემის მიმართება თეორიულ/პრაქტიკულ კონტექსტთან, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულ თუ სადაო იდეებსა და შეხედულებებთან, ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან და ა.შ.*

10. კვლევის შედეგები

10.1. კვლევის შედეგები უნდა ეყრდნობოდეს კვლევის აღწერით ნაწილს. შედეგები კრიტიკული განხილვის გარეშე უნდა იქნეს დამუშავებული და წარმოდგენილი. თუ კვლევის აღწერით ნაწილში მხოლოდ პროცედურაა ნაჩვენები, ამ შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს შედეგები (მაგალითად, ანკეტური კვლევის შედეგები, შედარებითი ანალიზის შედეგები, ისტორიული მეთოდით კვლევის შედეგები და სხვა).

10.2. შედეგების აღწერის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით.

11. დასკვნა

11.1. დასკვნის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად. იგი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

- კვლევის მიზნის და ამოცანის რეკონსტრუქცია;
- კვლევის შედეგების წარმოდგენა;
- სამომავლო პერსპექტივების დასახვა.

- 11.2. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს.
- 11.3. დასკვნების აღნიშნული პრინციპით ფორმულირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სიტყვები: გამოვლენილია, აღმოჩენილია, დასაბუთებულია, ნაჩვენებია, მოცემულია, წარმოდგენილია, გახსნილია, შემუშავებულია, შეთავაზებულია, კლასიფიცირებულია, სისტემატიზირებულია ან: შემოგვაქვს, ვასაბუთებთ, ვუჩვენებთ, და მისთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი უნდა დაიწყოს პირველ (მრავლობით) ან მესამე პირში (და არა შერეულად).

12. ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

- 12.1. ბიბლიოგრაფია (გამოყენებული ლიტერატურა), სამაგისტრო ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით.
- 12.2. ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გაფორმების წესი რეგულირდება დოკუმენტით „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული წყაროების მითითების წესი (APA ან ჩიკაგოს სტილის შესაბამისად).

13. დანართ(ებ)ი

- 13.1. დანართები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ.
- 13.2. დანართის გამოყენება იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ 13.1.-ში აღნიშნული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა.

14. წერთი ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები

სამაგისტრო ნაშრომის აკინძულ ეგზემპლართან ერთად სტუდენტმა უნდა წარადგინოს ნაშრომის ელექტრონული ვერსიაც CD კომპაქტ-დისკით, ნაშრომის ტექსტური მასალის Word-ის ან PDF ფაილის სახით. წარმოდგენილ CD კომპაქტ-დისკს უნდა ჰქონდეს მუქი ფერის CD მარკერით შესრულებული წარწერა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ფაკულტეტი, მიმართულება/სპეციალობა;
- ავტორი;
- ნაშრომის დასახელება.

თავი 2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა

1.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე საჯარო დაცვით. კომისიის მიერ ნაშრომის შეფასება ეფუძნება 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

2. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობები:

2.1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:

- 1) სტუდენტის მიერ სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება და 90 კრედიტის დაგროვება;
- 2) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა;
- 3) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა;
- 4) ნაშრომის რეცენზირება;
- 5) ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების დასკვნა.

წინაპირობები	სასწ. კვირა
1) სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების დასრულება	აკადემიური კალენდრის თანახმად
2) ხელმძღვანელის დასკვნა	მე-13 კვირა
3) ნაშრომის წინასწარი განხილვა	მე-14 კვირა
4) ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების დასკვნა	მე-15 კვირა
5) რეცენზენტის დასკვნა	მე-16 კვირა
6) სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვა	აკადემიური კალენდრის თანახმად

3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

3.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- 1) ნაშრომის სათაური;
- 2) მაგისტრანტის ვინაობა;
- 3) მაგისტრანტის პასუხისმგებლიანობა და დამოუკიდებლობა (სხვა უნარ-ჩვევები);
- 4) ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- 5) ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
- 6) ნაშრომის ზოგადი შეფასება;
- 7) დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

4. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა

4.1. ნაშრომის წინასწარი განხილვა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ნაშრომისწინასწარი დაცვის კომისიის სხდომაზე. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარდგენა. კომისია განიხილავს სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს და ფორმალური მოთხოვნების დაცვას, რაც ფორმდება ოქმით.

4.2. წინასწარი განხილვის მიზანია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვებისა და ანტიპლაგიატის პროგრამაზე გაგზავნის შესახებ. მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის კომისიაზე, რაც შემდგომ იგზავნება ანტიპლაგიატის პროგრამაზე შესამოწმებლად.

4.3. წინასწარი განხილვის დროს, კომისიის წევრის მიერ პლაგიატთან დაკავშირებული საფუძვლიანი ეჭვის გამოხატვის ან ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის განხილვა წყდება, თუმცა სხვა ნაშრომებთან ერთად ანტიპლაგიატის პროგრამაზე შესამოწმებლად იგზავნება.

5. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

5.1. წინასწარი განხილვისა და ანტიპლაგიატის პროგრამის დადებითი დასკვნების შემთხვევაში, დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად, საჯარო დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, გადაეცემა რეცენზენტს, რომელსაც შეარჩევს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პირი, ისე გარე რეცენზენტი, რომლის კანდიდატურას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

5.2. რეცენზენტი, დაცვამდე არაუგვიანეს 3 დღისა, წარმოადგენს ნაშრომზე წერილობით რეცენზიას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- 1) დასახული ამოცანების რელევანტობა;
- 2) თემის ირგვლივ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- 3) კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან;
- 4) მონაცემების ანალიზის / ინტერპრეტაციის და არგუმენტაციის ლოგიკურობა;
- 5) გადმოცემის თანმიმდევრულობა და ნაშრომის სტრუქტურა;
- 6) ციტირების კულტურა;
- 7) აკადემიური ენა;
- 8) ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა.

5.3. რეცენზენტის უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

6. ანტიპლაგიატის პროგრამაზე ნაშრომის შემოწმება:

6.1. თუ ნაშრომში ანტიპლაგიატის პროგრამით დასტურდება დარღვევა, „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის“ თანახმად, სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება.

6.2. სტუდენტს უფლება აქვს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი, რაც მას აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

7. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება-საჯარო დაცვა

7.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას კომისიის წვრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის არსებობის შემთხვევაში. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

7.2. სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე დაიშვება თუ ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შემდეგ ორიგინალური ტექსტი 70%-ი და მეტია;

7.3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება დანართში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. დანართი 1).

7.4. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას; კითხვა-პასუხს/დისკუსიას (30 წუთ) და შეფასებას, რა დროსაც სხდომა იხურება.

7.5. კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების შესახებ მაგისტრანტებს სხდომის დამთავრებისთანავე აცნობს კომისიის თავმჯდომარე. დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

8. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

8.1. სამაგისტრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, ნაშრომის Fx („ვერ ჩააბარა“) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა იგივე უფლება ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით არგამოცხადების შემთხვევაში. დამატებით დაცვა ინიშნება იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

8.2. საპატიო მიზეზით დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იგივე სამაგისტრო ნაშრომი, პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, დაიცვას დამატებით სემესტრში, დამატებითი ფინანსური ვალდებულების გარეშე.

8.3. სამაგისტრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე გასვლის უფლება არ აქვს სტუდენტს, ნაშრომის F („ჩაიჭრა“) შეფასების შემთხვევაში და მის საბოლოო შეფასებად ჩაითვლება „F“ (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით. სტუდენტს უფლება აქვს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში

შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი, რაც მას აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

8.4. სტუდენტს, რომელმაც დადგინებულ ვადებში ვერ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

9. აპელაცია

9.1. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში.

9.2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული.

9.3. შეფასების გასაჩივრების შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

9.4. ფაკულტეტის საბჭო ქმნის სააპელაციო კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტის პირველად შეფასებაში.

9.5. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.

9.6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპელაციას და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისად.

9.7. გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, შეცვალოს რეცენზენტი ან/და დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე.

9.8. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასა და ფაკულტეტის საბჭოს მიმართ გაკეთებულ წარდგინებაში.

10. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე

10.1. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე ეკუთვნის მის ავტორს.

10.2. მომიჯნავე უფლებები (მათ შორის ნაშრომის ან მისი ნაწილის დაბეჭდვის, ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში განთავსების, სამეცნიერო კვლევაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშის ჩართვის და ა.შ.) უფლებები ეკუთვნის უნივერსიტეტს და აღნიშნული უფლებების რეალიზება არ საჭიროებს დამატებით ავტორთან შეთანხმებას.

11. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

11.1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესს ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

11.2. წესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უნდა დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ ცვლილების ან დამატების სახით.

11.3. ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის №01-01/09 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი.

N	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური 100 ქულა (მინიმალური ბარიერი 51 ქულა)
ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება (80%)		
1.	პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევ კითხვების/ჰიპოთეზის ჩამოყალიბება	მაქსიმალური ქულაა 20
	1. კვლევის პრობლემა წარმოდგენილი და აღწერილია ძალიან კარგად; საკვლევ საკითხი მკაფიოდ და ნათლადაა განსაზღვრული და ჩამოყალიბებული; თემის აქტუალობა სრულიად არგუმენტირებულია; კვლევის მიზანი ძალიან კარგად და მართებულად არის ფორმულირებული; ჩანს პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზები; საკვლევ საკითხი ან/და ჰიპოთეზა კვლევის მიზანთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და სრულ შესაბამისობაშია.	19-20
	2. კვლევის პრობლემა წარმოდგენილი და აღწერილია კარგად; საკვლევ საკითხი განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია, თუმცა სასურველია მეტი სიცხადე ; თემის აქტუალობა არგუმენტირებულია; კვლევის მიზანი კარგად და მართებულად არის ფორმულირებული, თუმცა ნაკლებად ჩანს პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზები; საკვლევ საკითხი ან/და ჰიპოთეზა კვლევის მიზანთან დაკავშირებულია და შესაბამისობაშია.	13-18
	3. კვლევის პრობლემა წარმოდგენილი და აღწერილია, საკვლევ საკითხი განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია, თუმცა ფორმულირებებს აკლია სიცხადე და სიზუსტე; თემის აქტუალობა საჭიროებს მეტ არგუმენტირებას; კვლევის მიზანი ფორმულირებულია დამაკმაყოფილებლად; საკვლევ საკითხი ან/და ჰიპოთეზა კვლევის მიზანთან დაკავშირებულია, მაგრამ არასრულად.	7-12
	4. კვლევის პრობლემა წარმოდგენილია, მაგრამ აღწერილია ხარვეზებით; საკვლევ საკითხი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული; ფორმულირებები არსებითი ხარვეზებითაა წარმოდგენილი; თემის აქტუალობა არ არის არგუმენტირებული. კვლევის მიზანი ფორმულირებულია, თუმცა ბუნდოვნად; საკვლევ საკითხი ან/და ჰიპოთეზა კვლევის მიზანთან სუსტადაა დაკავშირებული.	1-6
	5. პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევ კითხვების/ჰიპოთეზის ჩამოყალიბება სრულიად არადამაკმაყოფილებელია.	0
2.	კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზანთან	მაქსიმალური ქულაა 20
	1. შერჩეული და გამოყენებულია კვლევის ადეკვატური, სანდო და ვალიდური მეთოდოლოგია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან/ ჰიპოთეზასთან; კვლევის მეთოდები ასახავს სფეროში არსებულ უახლეს გამოცდილებას.	19-20
	2. შერჩეული და გამოყენებულია კვლევის ადეკვატური და სანდო მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან/ჰიპოთეზასთან; კვლევის	13-18

	მეთოდები სასურველია, მეტად ასახავდეს სფეროში არსებულ უახლეს გამოცდილებას.	
	3. შერჩეული და გამოყენებულია კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან/ჰიპოთეზასთან; ამასთან, კვლევის მეთოდები არ ასახავს სფეროში არსებულ უახლეს გამოცდილებას.	7-12
	4. არ არის სათანადოდ გამოკვეთილი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საკვლევ საკითხთან/ჰიპოთეზასთან; კვლევის მეთოდები სრულიად არ ასახავს სფეროში არსებულ უახლეს გამოცდილებას.	1-6
	5. კვლევის მეთოდები სრულიად არ შეესაბამება კვლევის მიზანს.	0
3.	მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია, არგუმენტაციის ლოგიკურობა	მაქსიმალური ქულაა 20
	1. ნაშრომი ეფუძნება სანდო და მრავალფეროვან მონაცემებს, რაც ინტერპრეტირებულია სიღრმისეულად, გაანალიზებულია კომპლექსურად და თანმიმდევრულად; მსჯელობა ლოგიკური და ძალიან კარგად არგუმენტირებულია.	19-20
	2. ნაშრომი ეფუძნება სანდო მონაცემებს, რაც ინტერპრეტირებულია მართებულად და გაანალიზებულია თანმიმდევრულად; მსჯელობა ლოგიკური და საკმაოდ არგუმენტირებულია.	13-18
	3. ნაშრომი ეფუძნება სანდო, მაგრამ საკმაოდ მწირ მონაცემებს, რაც დამაკმაყოფილებლადაა ინტერპრეტირებული; ანალიზს აკლია კომპლექსურობა და თანმიმდევრულობა, ხოლო მსჯელობას -ლოგიკურობა და არგუმენტირება.	7-12
	4. ნაშრომი ეფუძნება მწირ მონაცემებს, რომელთა ინტერპრეტაციას ადგილი არ აქვს; ანალიზი ძალზე არათანმიმდევრულია; მსჯელობა არასაკმარისად ლოგიკურია.	1-6
	5. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია, არგუმენტაციის ლოგიკურობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია.	0
4.	დასკვნა	მაქსიმალური ქულაა 20
	1. კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად, მართებულად და ძალიან კარგად წარმოაჩენს, თუ რა დადგინდა კვლევის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის შედეგად. კვლევის შედეგები სრულიად შეესაბამება საკვლევ კითხვას.	19-20
	2. კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად, მეტწილად წარმოაჩენს, თუ რა დადგინდა კვლევის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის შედეგად. კვლევის შედეგები შეესაბამება საკვლევ კითხვას.	13-18
	3. კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად წარმოაჩენს, თუ რა დადგინდა კვლევის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის შედეგად. კვლევის შედეგები დამაკმაყოფილებლად შეესაბამება საკვლევ კითხვას.	7-12
	4. კვლევის შედეგები სუსტადაა ჩამოყალიბებული და ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ კითხვას.	1-6
	5. დასკვნები სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა ჩამოყალიბებული	0

პრეზენტაციის შეფასება (20%)		
5.	პრეზენტაციის ორგანიზაცია	მაქსიმალური ქულაა 10
	1. პრეზენტაცია თანმიმდევრულია და ძალიან კარგად ასახავს ნაშრომს; საკითხები ჩამოყალიბებულია ნათლად, პრეზენტაციის გამოყენებული ფორმატი ძალიან ეფექტურია (Power Point ფორმატი, თვალსაჩინოება და სხვა.).	9-10
	2. პრეზენტაცია მეტწილად თანმიმდევრულია და ადეკვატურად ასახავს ნაშრომს; საკითხები ჩამოყალიბებულია ნათლად, პრეზენტაციის გამოყენებული ფორმატი საკმაოდ ეფექტურია (Power Point ფორმატი, თვალსაჩინოება და სხვა.).	5-8
	3. პრეზენტაცია არათანმიმდევრულია და ნაკლებად ადეკვატურად ასახავს ნაშრომს; საკითხები ჩამოყალიბებულია ქაოტურად, გამოყენებული ფორმატი არაეფექტურია (Power Point ფორმატი, თვალსაჩინოება და სხვა.).	1-4
	4. პრეზენტაციის ორგანიზაცია სრულიად არაადამაკმაყოფილებელია	0
6.	დისკუსია	მაქსიმალური ქულაა 10
	1. დაცვის კომისიის წევრების კითხვებზე მაგისტრანტის პასუხები სრულიად მართებული და სრულია; დისკუსიაში სტუდენტი ძალიან კომპეტენტურად მონაწილეობს და ამჟღავნებს საკვლევ პრობლემის/საკითხის შესახებ ღრმა ცოდნას.	9-10
	2. დაცვის კომისიის წევრების კითხვებზე მაგისტრანტის პასუხები მართებული და სრულია; დისკუსიაში სტუდენტი კომპეტენტურად მონაწილეობს და ამჟღავნებს საკვლევ პრობლემის / საკითხის შესახებ საკმაოდ ღრმა ცოდნას.	5-8
	3. დაცვის კომისიის წევრების კითხვებზე მაგისტრანტის პასუხები არასრულია და შეიცავს უზუსტობებს; დისკუსიაში სტუდენტი ვერ ამჟღავნებს კომპეტენტურობას და საკვლევ პრობლემის/საკითხის შესახებ სათანადო ცოდნას.	1-4
	4. მაგისტრანტი დისკუსიაში ერთვება სრულიად არაადამაკმაყოფილებლად.	0
სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პრინციპი		
<p>დაცვის კომისიის თითოთეული წევრი აფასებს სამაგისტრო ნაშრომს და პრეზენტაციას ინდივიდუალურად ზემოთ მითითებული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით. დაცვის საბოლოო ქულა ანგარიშდება თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.</p>		